კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 4.2%-ით შემცირდა.
- წლიური ინფლაცია 4.5%-ს გაუტოლდა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 1.3%-ით გაუფასურდა, ხოლო 2020 წლის I კვარტალთან შედარებით კი - 11.7%-ით.
- ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 588.3 მლნ ლარი შეადგინა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა დეპოზიტებზე, ხოლო სესხებზე შემცირდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2021 წლის I კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ -4.2% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის I კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე აღემატებოდა სტატისტიკის მიერ შეფასებულ მონაცემს და შესაბამისად მშპ-ის გაპი -3.0%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის უარყოფითი გაპი -4.6% იყო.



2020 წლის IV კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტის შემცირებას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2020 წლის IV კვარტალში რეალური მშპ-ის კლების ტემპი ექსპორტის (-20.6%) და მოხმარების (-1.8%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში დადებითი გავლენა მშპ-ზე იმპორტს (15.0%) და ინვესტიციებს ჰქონდა (0.6%).



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[1] ზრდის ტემპმა -2.2% შეადგინა. 2020 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი -1.7%-ს შეადგენდა.



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს.

2021 წლის I კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 4.5% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. 2021 წლის I კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ავეჯზე, საოჯახო ნივთებსა და სახლის მოვლაზე, აგრეთვე სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.



[1] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2. ფისკალური სექტორი

2021 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2021 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.5%-ით გაიზარდა და 3,378 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 11%-ით მოიმატა და 4,016 მლნ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 211.7 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო მთლიანი სალდოს მონაცემი კი - 271.4 მლნ ლარით.



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 0.9%-ით შემცირდა და 2,957 მლნ ლარით განისაზღვრა.

2021 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 6.1%-ით შემცირდა და 1428 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 4.6%-ით მოიმატა და 1,529 მლნ ლარს გაუტოლდა.



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე ხარჯები ზრდის ტენდენციას ავლენს. ასევე გაზრდილია არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები.

2021 წლის I კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 3,396 მლნ ლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11.7%-ით მეტია. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 619.6 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე 8.1%-ით მეტია.



2021 წლის I კვარტალის ბოლოს - 31 მარტის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 32,242 მლნ ლარი შეადგინა, რაც 39%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 81.7%-ს შეადგენს (2020 წლის I კვარტალის ბოლოს - 80.5%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 18.3%-ს (2020 წლის I კვარტალის ბოლოს - 19.5%).



3. საგარეო სექტორი

2020 წლის IV კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2020 წლის IV კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 560.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის უტოლდება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -13%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლითა და მომსახურებით სავაჭრო ბალანსსა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების დადებითი სალდო. აღსანიშნავია რომ მოგზაურთა მომსახურება, არსებული პრობლემების გათვალისწინებით, 2020 წლის IV კვარტალში 93.8%-ით შემცირდა.



2020 წლის IV კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს სხვა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა ინვესტიციებმა 120.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 2.8%), რაც 50.6%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.



2021 წლის I კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,101 მლნ დოლარი შეადგინა.

2021 წლის I კვარტალის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,101 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.6%-ით მეტია. 2020 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ 873 მლნ დოლარი გაყიდა. 2021 წლის იანვარ-მარტში კი სებ-მა 160 მლნ დოლარი გაყიდა.



2021 წლის I კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის ზრდის და იმპორტის კლების ტენდენცია გამოიკვეთა.

2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 5.2%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 2.4%-ით შემცირდა. საყურადღებოა, რომ 2020 წელს ექსპორტის მნიშვნელოვანი კლების შემდეგ, 2021 წლის I კვარტალში ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა. ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტლიდან დადებითი იყო, თუმცა 2020 წლის I კვარტალში დაწყებული კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შოკების გათვალისწინებით, 2020 წელს ექსპორტიც და იმპორტიც მნიშვნელოვნად შემცირდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.0%-დან 29.6%-მდე გაიზარდა.



4. მონეტარული სექტორი

2021 წლის I კვარტალში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა 8.5% შეადგინა.

2018 წლის გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შერბილება წლის ბოლოს დაიწყო და ეტაპობრივი შერბილება 2019 წელსაც გაგრძელდა. 2019 წლის II კვარტალში განაკვეთმა 6.5% შეადგინა. 2019 წლის სექტემბრიდან კი ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება - დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთი 9.0%-ით განისაზღვრა და იგი 2020 წლის პირველი კვარტლის განმავლობაშიც შენარჩუნდა. 2020 წლის II კვარტლიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა დაიწყო ეტაპობრივი შემცირება და 2020 წლის IV კვარტლში 8.0%-ით განისაზღვრა. 8.0% შენარჩუნდა 2021 წლის იანვარ-თებერვალში, მარტში კი განაკვეთი 8.5%-მდე გაიზრდა.



2021 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 12.3%-ს შეადგენს.

2021 წლის I კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.5%-ული პუნქტით გაიზარდა და 12.3%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15.4% შეადგინა (0.6%-ული პუნქტით მეტი), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 6.6% (0.2%-ული პუნქტით ნაკლები).



2021 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა გარდა სომხური დრამისა.

2021 წლის I კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 1.3%-ით გაუფასურდა, ხოლო 2020 წლის I კვარტალთან მიმართებით - 11.7%-ით. 2020 წლის I კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გაუფასურდა ევროსთან (19.3%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (11.6%-ით), უკრაინულ გრივნასთან (1.4%-ით), რუსულ რუბლთან (0.9%-ით) და სომხურ დრამთან (4.1%-ით), ხოლო გამყარდა თურქულ ლირასთან (6.5%) მიმართებით.



2021 წლის I კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2021 წლის I კვარტალში, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 12.3%-ით მოიმატა, წინა კვარტალთან შედარებით კი - 2.3%-ით. მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი შინამეურნეობებზე გაიცა.



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2015 წლიდან აღინიშნა ორივე მაჩვენებლის ზრდა და 2016 წლის IV კვარტალში შესაბამისად 69.8% და 65.4% დაფიქსირდა. 2017 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა დოლარიზაცია, თუმცა 2019 წლის IV კვარტალიდან კვლავ ზრდა დაიწყო და 2020 წლის დეკემბერში დეპოზიტებზე აღნიშნულმა მაჩვენებელმა 62.7% შეადგინა, სესხებზე კი 55.5%. 2021 წლის I კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე 1.8%-ული პუნქტით გაიზარდა და 64.5% შეადგინა, ხოლო სესხებზე 0.1%-ული პუნქტით შემცირდა და 55.4% შეადგინა.



5. სოციალური სფერო

2021 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი უმნიშვნელოდ შემცირდა.

2021 წლის I კვარტალის ბოლოს - მარტი - საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 178.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5 ლარით ნაკლებია.



2021 წლის I კვარტალში, წინა წლის I კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა.

2021 წლის I კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 375 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 7.4%-ით მეტია (სულ შესრულებულია კვარტალური გეგმის 94%). ჯანდაცვაზე დანახარჯებმა 444.6 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.3%-ით მეტი (სულ შესრულებულია კვარტალური გეგმის 87%).



2020 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირების, ხოლო ხელფასები უმნიშვნელო ზრდის ტენდენციას ავლენს.

2020 წლის IV კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 641.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10.1%-ით ნაკლებია. 2020 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,417 ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.3 ლარით მეტი.